## საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030113679222020

**№ 01-306/ო** **30 / ივნისი / 2020 წ.**

**საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ**

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

**მუხლი 1.**

1. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების N1 და N2 დანართებით განსაზღვრული სამედიცინო დაწესებულება (გარდა ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მე-3 პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებებისა და შპს „მედალფა“ ბათუმის კლინიკისა) 2020 წლის 1 ივნისიდან, უფლებამოსილია გააგრძელოს/აღადგინოს სამედიცინო მომსახურება კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული სანებართვო დანართებით განსაზღვრული საქმიანობის ფარგლებში.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი სამედიცინო დაწესებულებები ვალდებულნი არიან 2020 წლის 1 ივლისიდან უზრუნველყონ საწოლფონდის სრულად მობილიზება COVID-19-ის დიაგნოზის საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირებისთვის:

ა) შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“ - რუხი;

ბ) შპს ,,მცხეთის სამედიცინო ცენტრი";

გ) შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“.

3. ქვემოთ ჩამოთვლილი სამედიცინო დაწესებულებები ვალდებულნი არიან 1 ივლისიდან მობილიზებული ჰქონდეთ საწოლფონდის მითითებული რაოდენობა COVID-19-ის დიაგნოზის საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირებისთვის:

ა) სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი" – 50 საწოლი;

ბ) შპს ,,აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა" – 73 საწოლი;

გ) სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა“ – 14 საწოლი;

დ) შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“ – 25 საწოლი;

ე) შპს ,,თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო"- 24 საწოლი;

ვ) შპს ,,ლჯ და კომპანია დასავლეთ საქართველოს ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრი‘‘ - 18 საწოლი;

ზ) სსიპ ,,გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი" – 40 საწოლი;

თ) სს ,,საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება" – 50 საწოლი.

4. ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებები და შპს „მედალფა“ ბათუმის კლინიკა 2020 წლის 1 ივლისიდან უფლებამოსილია გააგრძელოს/აღადგინოს სამედიცინო მომსახურება კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული სანებართვო დანართებით განსაზღვრული საქმიანობის ფარგლებში.

5. ამ ბრძანებით განსაზღვრული ყველა სამედიცინო დაწესებულება, ვალდებულია განახორციელოს ცხელების მქონე ნებისმიერი პაციენტის პირველადი ტრიაჟი, დიაგნოსტირება, COVID-19-ის დიაგნოზის დადასტურების შემთხვევაში პაციენტის რეფერალი ან მართვა სამედიცინო პერსონალის მიერ ინფექციის პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებების მკაცრად დაცვით. ამასთან, ის ვალდებულია ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს სამინისტროს მითითებიდან 24 საათში, უზრუნველყოს საწოლფონდის მობილიზაცია, სამედიცინო პერსონალის მიერ ინფექციის პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებების მკაცრად დაცვით და სამინისტროს მიერ მითითებული საწოლების რაოდენობის შესაბამისად.

6. ამავე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დაწესებულებებთან ამავე პუნქტში მითითებული პერიოდიდან, ხოლო შპს „მედალფა“ ბათუმის კლინიკასთან მ.წ. 1 ივლისიდან შეწყდება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილების დანართი N20 (ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა) მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაფინანსება. ამასთან, მე-2 და მე-3 პუნქტით განსაზღვრულ დაწესებულებებს 2020 წლის 1 ივლისიდან დაფინანსება გაუგრძელდებათ მობილიზებული საწოლფონის შესაბამისად.

7. დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს უზრუნველყოს ამ ბრძანების შესახებ სამედიცინო დაწესებულებების ინფორმირება.

**მუხლი 2.**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის № 01-231/ო ბრძანება.

**მუხლი 3.**

ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2020 წლის 15 ივლისამდე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე